



რეგისტრაციის N \_\_\_\_\_

მიღების თარიღი: \_\_/\_\_/\_\_

## „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: [const@constcourt.ge](mailto:const@constcourt.ge); ვებგვერდი: [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

## I. ფორმალური ნაწილი

### 1. მოსაზრების ავტორის რეკვიზიტები:

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“	204569617	ტ. შვეჩენკოს ქ. N20, თბილისი
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
	+99532 2921514	<a href="mailto:info@idfi.ge">info@idfi.ge</a>
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

### 2. საქმის დასახელება, რომელთან დაკავშირებით არის შედგენილი მოსაზრება [შენიშვნა 1](#)

„საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1459 კონსტიტუციური სარჩელი.

შენიშვნა 1 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს კონსტიტუციური სარჩელის ნომერი, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება ან/და სხვა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც სასამართლოსთვის ცხადი გახდება, თუ რომელ საქმესთან დაკავშირებითაა მომზადებული მოსაზრება.

## II. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება შენიშვნა 2

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს“ შესახებ საქართველოს კანონის 21<sup>4</sup>-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ წერილობით მოსაზრებას სახალხო დამცველის N1459 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 11 ნოემბრის კონსტიტუციური სარჩელი სადავოდ ხდის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვების: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, მე-2 და მე-10 წინადადებების, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის პირველი და მე-3 წინადადებებისა და მე-13 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ნორმები საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება შემდეგ გარემოებათა გამო:

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული პროცედურა ვერ უზრუნველყოფს საჯარო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციით გარანტირებული უფლების პრაქტიკული და ეფექტური რეალიზების შესაძლებლობას;
- პირველი ფარული კენჭისყრის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არაინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება ქმნის რისკს იმისა, რომ კანდიდატები, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩევიან, თვითნებურად და დაუსაბუთებლად გამოეთიშონ შერჩევის პროცესს;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას სამ ეტაპიანი ფარული კენჭისყრა გამორიცხავს დასაბუთების შესაძლებლობას და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკს წარმოშობს, რაც კონსტიტუციის მოთხოვნებსა და ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს<sup>1</sup> ეწინააღმდეგება;
- უზენაესი სასამართლოს კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოსამართლეებით დაკომპლექტების სათანადო გარანტიების არარსებობა ქმნის რისკს იმისა, რომ დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს უფლება, კერძოდ, პირის უფლება მისი საქმე განიხილოს კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

---

შენიშვნა 2 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს „სასამართლოს მეგობრის“ არგუმენტები და მის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები რომლებითაც ის ასაბუთებს საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას.

<sup>1</sup> იხილეთ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კვლევა „საქართველოს უზენაესი სასამართლო - ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი“, 2020. ხელმისაწვდომია:

[https://idfi.ge/public/upload/Magda/Presentation%20of%20the%20Report%20on%20Institutional%20and%20Legal%20Framework%20of%20the%20Supreme%20Court%20of%20Georgia/Supreme Court of Georgia Geo.pdf](https://idfi.ge/public/upload/Magda/Presentation%20of%20the%20Report%20on%20Institutional%20and%20Legal%20Framework%20of%20the%20Supreme%20Court%20of%20Georgia/Supreme%20Court%20of%20Georgia%20Geo.pdf)

## სადავო ნორმების შინაარსი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრის სამ ეტაპად ჩატარებას ითვალისწინებს:

### პირველი ეტაპი

პირველ ეტაპზე საბჭო თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე. საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავს არაუმეტეს იმ რაოდენობის კანდიდატს, რამდენი ვაკანსიაც არის გამოცხადებული<sup>2</sup>. თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ან 2 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 3-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი<sup>3</sup>. თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია არანაკლებ 3 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 2,5-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება<sup>4</sup>.

### მეორე ეტაპი

კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, უახლოეს სხდომაზე, საბჭო ფარულად უყრის კენჭს კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე დაყვანის მიზნით.<sup>5</sup> შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არის გამოცხადებული.<sup>6</sup> კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება.<sup>7</sup>

### მესამე ეტაპი

კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ კენჭი სათითაოდ ეყრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტისთვის წარდგენას.<sup>8</sup> კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.<sup>9</sup>

ორგანული კანონით გათვალისწინებული ამგვარი რეგულირების უარყოფითი შედეგები ცხადად გამოვლინდა საბჭოს მიერ ჩატარებული პირველი კონკურსის მიმდინარეობისას. როგორც სახალხო დამცველის<sup>10</sup>, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების<sup>11</sup> შეფასებაში აღინიშნა, რომ პირველი ფარული

<sup>2</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტი.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> <http://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-ekhmianeba-uzenaesi-sasamartlos-mosamartleebis-sherchevis-mimdinare-protsess?fbclid=IwAR1HSJdpWU0-GvXaxxI4AAHsr2It3Nco4ImHVO2huvGfnll7BXXbQpnxSgw>

კენჭისყრისას გამოვლინდა 13-დან 10 ბიულეტენი, რომელიც შემოხაზული იყო ერთნაირი სქემითა და დამთხვევების ძალიან მაღალი ხარისხით.

გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის დაკვირვების შემდეგ, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR) კრიტიკული ანგარიშები<sup>12</sup> გამოაქვეყნა, სადაც ხაზი გაუსვა იმ ხარვეზებს, რაც გამოვლინდა როგორც საბჭოს მიერ კანდიდატების ნომინირებისას, ასევე პარლამენტის მიერ მოსამართლეთა არჩევის ეტაპზე. ანგარიშში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამჭვირვალობის საკმარის გარანტიებს. კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ მოეთხოვებოდა კანდიდატთა მოკლე სიაში შეყვანის თაობაზე და ფარული კენჭისყრით კანდიდატთა წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაიმე სახით დასაბუთება ან განმარტების მიცემა იმის დასადასტურებლად, რომ ეს გადაწყვეტილებები მართლაც კომპეტენტურობის და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების საფუძველზე იყო მიღებული.<sup>13</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება სწორედ ფარული კენჭისყრის შეცვლას სრულიად გამჭვირვალე, დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესით<sup>14</sup>.

საბოლოოდ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზენაეს სასამართლოში 14 მოსამართლის დანიშვნას კრიტიკული შეფასება მოყვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან<sup>15</sup>. ისინი ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ რიგი ნომინირებული პირებისა არ წარმოადგენდნენ საუკეთესო კვალიფიციურ კანდიდატებს.<sup>16</sup> ასევე, შერჩევის პროცესს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზები, მათ შორის გამჭვირვალობის ნაკლებობა ახასიათებდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსამართლეთა წარდგენის პროცესზე, რომლის დროსაც მათი ქეშმარიტი დამსახურება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.<sup>17</sup>

## **სადავო ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან**

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, „მოსამართლის თანამდებობა კონსტიტუციის მიზნებისთვის განხილულ უნდა იქნეს იმ სახელმწიფო თანამდებობად, რომლის დაკავებისა და საქმიანობის განხორციელების კანონით განსაზღვრული პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს<sup>18</sup>“ (კონსტიტუციის ახალი რედაქციის 25-ე მუხლს). შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობის დაკავების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე

<sup>11</sup> [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=213&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=213&clang=0)

<sup>12</sup> ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/ka/odihhr/429491?download=true>  
<https://www.osce.org/ka/odihhr/443497?download=true>

<sup>13</sup> <https://www.osce.org/ka/odihhr/429491?download=true>

<sup>14</sup> <https://www.osce.org/ka/odihhr/443497?download=true>

<sup>15</sup> <http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=7737&lang=2>

<sup>16</sup> <https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassys-statement-on-supreme-court-nominees-december-12-ka/>

<sup>17</sup> <https://bit.ly/3buedza>

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

მუხლით (ახალი რედაქციის 25-ე მუხლით) დაცულ უფლებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტები (მოსამართლის სახელმწიფო თანამდებობის კონსტიტუციური სტატუსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით)<sup>19</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, სახელმწიფო თანამდებობის დაკავება კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით მიმდინარეობს, რაც ემსახურება მიზანს - ამა თუ იმ ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნოს თანამდებობის შესაფერისი კანდიდატი<sup>20</sup>.

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართულობა სწორედ პროფესიული ნიშნით კანდიდატების შერჩევის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული რეგულირება უნდა უზრუნველყოფდეს მაღალი კვალიფიკაციითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეული კანდიდატების წარდგენას პარლამენტისთვის. გარდა ამისა, კონსტიტუციის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, განხილვის მიზნებისთვის აუცილებელია კონსტიტუციის 29-ე მუხლის განმარტება სხვა მუხლებთან კავშირში. კონსტიტუციის 63-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით, რაც ხაზს უსვამს პროფესიული ნიშნით კანდიდატების შერჩევის აუცილებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილებით პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის მარეგულირებელი ნორმები არაკონსტიტუციურად არ ცნო, თუმცა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესი რამდენიმე ასპექტით განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენს: 1) რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად კენჭი ეყრება მხოლოდ იმ მოსამართლეობის კანდიდატს, რომლის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, ამ კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით, მოსამართლეობის კანდიდატის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია. ამგვარი წინაპირობა არ არის გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის შემთხვევაში.<sup>21</sup> 2. პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცესში არ არის გათვალისწინებული სამ ეტაპიანი კენჭისყრა, საბჭო კენჭისყრას მხოლოდ ერთხელ ატარებს, კანდიდატებთან გასაუბრების და ქულებით შეფასების შემდეგ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში კი საბჭო პირველი კენჭისყრისას გასაუბრების, შეფასებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის ან გადაყვანაზე უარის თქმის თაობაზე. (ამგვარი ბუნდოვანი პროცედურის შედეგად, 2019 წლის ივნისში 137 კანდიდატიდან შემდეგ ეტაპზე 50 კანდიდატი გადავიდა, საბჭოს ეს გადაწყვეტილება იყო სრულიად დაუსაბუთებელი). 3. N3/2/717 გადაწყვეტილებაში დავის საგანი საბჭოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა იყო, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობასთან ერთად ასევე

<sup>19</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

<sup>20</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

<sup>21</sup> ეს არგუმენტი დეტალურად არის განხილული სახალხო დამცველის კონსტიტუციურ სარჩელში, რასაც IDFI სრულად იზიარებს.

სადავოდ ხდის კენჭისყრის ფარულობას. 4. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ერთიანი პროცედურა, მათ შორის, სამივე ეტაპზე კენჭისყრის ფარულობა, მთლიანობაში არ იძლევა საბოლოო გადაწყვეტილების ფაქტობრივი წინაპირობების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

ორგანული კანონის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევისას ხელმძღვანელობს იმ კრიტერიუმებით, რაც პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების შერჩევისას გამოიყენება, კერძოდ, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით.<sup>22</sup> მოქმედი კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლებს.<sup>23</sup> მიუხედავად ამისა, სადავო ნორმებით გათვალისწინებული რეგულირება საბჭოს მხრიდან თვითნებური და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას წარმოშობს, რადგან არ არსებობს არავითარი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე მოსამართლეთა შერჩევის გარანტიებს შექმნიდა.

კენჭისყრის პირველი ეტაპის არსებული რეგულირება რისკის ქვეშ აყენებს დამსახურების საფუძველზე კანდიდატების შერჩევას, რადგან ამ ეტაპზე საბჭოს წევრებისთვის ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ კანდიდატი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ფორმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. კონკურსის ამ ეტაპზე საბჭოს წევრები არ აფასებენ კანდიდატებს, არ ტარდება მათთან გასაუბრება და საბჭო არ იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. ამგვარი პროცედურის შედეგად, როგორც კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის უცნობია, რის საფუძველზე გადავიდნენ ან ვერ გადავიდნენ ცალკეული კანდიდატები შემდგომ ეტაპზე. აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ხაზს უსვამს დამსახურების პრინციპის საფუძველზე კანდიდატების შერჩევას<sup>24</sup> და შერჩევის პროცესის სრულად და სათანადოდ დოკუმენტირებას<sup>25</sup>.

პირველი ფარული კენჭისყრა, რომლის დროსაც საბჭო გასაუბრებისა და შეფასების გარეშე იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის შემდეგ ეტაპზე გადაყვანის ან გადაყვანაზე უარის თქმის შესახებ, ქმნის რისკს იმისა, რომ კანდიდატები, რომელთა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი სხვებთან შედარებით მაღალია, კონკურსის მიღმა დარჩნენ. ამგვარი პროცედურის შედეგად მათ ერთმევათ საჯარო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზების შესაძლებლობა.

საერთაშორისო სტანდარტებით საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ მოსამართლეთა დანიშვნა უნდა განხორციელდეს დამსახურების პრინციპის საფუძველზე.<sup>26</sup> გარდა ამისა, არსებული სტანდარტები ხაზს უსვამს პროცესის გამჭვირვალობისა და ღიაობის მნიშვნელობას. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) თანახმად, უნდა არსებობდეს კანდიდატთა შერჩევის პროცესის სრული გამჭვირვალობა ისე, რომ მოსამართლეებს და თავად საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა დარწმუნდნენ იმაში, რომ დანიშვნა ექსკლუზიურად გამომდინარეობდა კანდიდატის დამსახურებიდან და დაეფუძნა მის კვალიფიკაციას, უნარებს, პატიოსნებას, დამოუკიდებლობის განცდას, მიუკერძოებლობასა და ეფექტურობას.<sup>27</sup> გარდა ამისა, მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო

<sup>22</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>23</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 35<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3-4 პუნქტები.

<sup>24</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(94)12, პირველი პრინციპი; CCJE დასკვნა N1(2001), § 17.

<sup>25</sup> ENCJ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, გვ 22.

<sup>26</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(94)12, პირველი პრინციპი; CCJE დასკვნა N1(2001), § 17.

<sup>27</sup> CCJE დასკვნა N10 (2007), § 50.



მითითებების თანახმად, დანიშნვის პროცესი უნდა იყოს ღია საზოგადოებრივი მსჯელობისათვის და სრულად და სათანადოდ დოკუმენტირებული.<sup>28</sup>

ფარული კენჭისყრა ეწინააღმდეგება ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან გამორიცხავს გადაწყვეტილების დასაბუთების შესაძლებლობას.<sup>29</sup> ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კრიტერიუმებით შეფასების საფუძველზე მიღებული ქულებით და არა ფარული კენჭისყრის საფუძველზე, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ როგორც კანდიდატები, ასევე საზოგადოება დარწმუნდეს, რომ გადაწყვეტილება დაეფუძნა კანდიდატის დამსახურებას.<sup>30</sup>

გარდა ამისა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მოსაზრების თანახმად, შერჩევის ყველა ეტაპზე განსაზღვრული უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული კრიტერიუმები, რათა საბოლოო ჯამში თანამდებობაზე საუკეთესო კანდიდატები დაინიშნონ. აღნიშნულ დასკვნაშიც ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ფარული კენჭისყრა ძირს უთხრის დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევის სისტემას და მიზანშეწონილია, საბჭოს წევრებმა მიიღონ ერთობლივი დასაბუთებული გადაწყვეტილება ცხადი კრიტერიუმების საფუძველზე.<sup>31</sup> გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა ხაზგასმულია მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) რეკომენდაციებშიც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს წარუმატებელი კანდიდატის ინფორმირებაზე მისი წარუმატებლობის მიზეზების თაობაზე.<sup>32</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „დასაბუთებულობის მოთხოვნა ავალდებულებს გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს, დაასაბუთოს, თუ რატომ შეესაბამება ან არ შეესაბამება კონკრეტულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმს ესა თუ ის კანდიდატი. დასაბუთებულობის მოთხოვნით, იზრდება თანამდებობაზე გამწესებაზე უფლებამოსილი სუბიექტების ანგარიშვალდებულება და თავად პროცესის გამჭვირვალობა. ამავე დროს, დასაბუთებულობის მოთხოვნის გარეშე უკიდურესად გართულებულია თვითნებური და არაზუსტი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა. იმ პირობებში, როდესაც უფლებამოსილ სუბიექტს არ ევალება გადაწყვეტილების დასაბუთება, რთულია მიღებული გადაწყვეტილების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და შესაძლო დარღვევებისა და გადაცდომების გამოსწორება, არსებობს უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების საფრთხე“<sup>33</sup>. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია საბჭოს წევრების მიერ უკანონო, თვითნებური ან/და მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების პრევენციისათვის.<sup>34</sup>

---

<sup>28</sup> ENCJ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, გვ. 22. ხელმისაწვდომია: [https://www.ency.eu/images/stories/pdf/workinggroups/independence/encj\\_report\\_independence\\_accountability\\_adopted\\_version\\_sept\\_2014.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/workinggroups/independence/encj_report_independence_accountability_adopted_version_sept_2014.pdf)

<sup>29</sup> Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019, § 33.

<sup>30</sup> Venice Commission, CDL-PI(2019)002, 16.04.2019, § 52.

<sup>31</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 12; 57. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/417599?download=true>

<sup>32</sup> [https://www.ency.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj\\_report\\_distillation\\_approved.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj_report_distillation_approved.pdf)

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

<sup>34</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

ფარული კენჭისყრა და დასაბუთებული გადაწყვეტილების არარსებობა მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრეციული უფლებამოსილების მართებული გამოყენების შემოწმებისთვის დასაბუთებული უნდა იყოს (შესაძლებლობის ფარგლებში) თუ როგორ მივიდა შესაბამისი ორგანო ამა თუ იმ გადაწყვეტამდე. ამ თვალსაზრისით გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს, იმგვარი დასაბუთების მოთხოვნას, რომელიც შესაძლებელს გახდის იმ გზის სისწორის შეფასებას, რომლითაც გადაწყვეტილების მიმღები პირი მივიდა ამ გადაწყვეტამდე.<sup>35</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, სადავო ნორმები არ ითვალისწინებს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტირებას, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსამართლეთა შერჩევას დამსახურების პრინციპის საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამართლებრივი წესრიგი უნდა ქმნიდეს უფლების პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობას, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს კანონმდებლის ვალდებულებას, შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისცემს თანაბარ შესაძლებლობას, დაიკავოს ესა თუ ის სახელმწიფო თანამდებობა.“<sup>36</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, ორგანული კანონით გათვალისწინებული რეგულირება ვერ უზრუნველყოფს საბჭოს თვითნებობის პრევენციას და მის მიერ პარლამენტისათვის საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების წარდგენას. შესაბამისად, სადავო ნორმებით დადგენილი სამართლებრივი რეგულირება ვერ ქმნის საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების პრაქტიკული და ეფექტური რეალიზების შესაძლებლობას და კონსტიტუციის 25-ე მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

### **სადავო ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან**

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“. კონსტიტუციით გარანტირებული ეს ფუნდამენტური უფლება აუცილებელ შემადგენელ ნაწილად უდავოდ მოიაზრებს კონსტიტუციის შესაბამისად შექმნილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვას.

სასამართლოს დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის წინაპირობასა და სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს.<sup>37</sup> მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არის არ არის პრეროგატივა ან პრივილეგია მოსამართლეთა სასარგებლოდ, არამედ ემსახურება კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების მაძიებელი პირის ინტერესებს.<sup>38</sup> ამავდროულად, სასამართლოს დამოუკიდებლობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის წესი, მისი უფლებამოსილების ვადა და გარე ზეგავლენისგან დამცავი გარანტიები განაპირობებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „კვალიფიციური მოსამართლეების განწესების მყარი გარანტიები ემსახურება საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი ნდობის განმტკიცებას. ცხადია, ნდობა მართლმსაჯულების სისტემისადმი გაიზრდება, თუ საზოგადოებამ იცის, რომ მოსამართლეთა

<sup>35</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25.

<sup>36</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/5/560 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38.

<sup>37</sup> CCJE დასკვნა N1(2001), § 10.

<sup>38</sup> CCJE დასკვნა N1(2001), § 10.



თანამდებობაზე განწესების პროცესი იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფს კვალიფიციური, პიროვნული და პროფესიული ნიშნით შესაბამისი კანდიდატების მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებას.<sup>39</sup> შესაბამისად, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის სამართლებრივი მოწესრიგება დიდწილად განსაზღვრავს სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან.

აქედან გამომდინარე, IDFI მიიჩნევს, რომ მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის წესი პირდაპირ კავშირშია ინდივიდის უფლებასთან, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია. მსგავსი მიდგომა ასახულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) დასკვნაშიც, რომლის თანახმად, ბუნდოვანი კრიტერიუმების საფუძველზე ან თვითნებური გადაწყვეტილების მიღებამ შესაძლოა საბოლოოდ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დარღვევა გამოიწვიოს.<sup>40</sup>

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland*, სადაც სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა სწორედ იმ საფუძველზე, რომ აპლიკანტის საქმე კანონდარღვევით დანიშნულმა მოსამართლემ განიხილა<sup>41</sup>. იმ შემთხვევაში, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ შერჩევის პროცესი კონსტიტუციის მოთხოვნებს, კერძოდ, 25-ე მუხლს ეწინააღმდეგება, ამგვარი წესით დაკომპლექტებული სასამართლო ვერ იქნება მიჩნეული კონსტიტუციის შესაბამისად ფორმირებულად, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფუძველი შეიძლება გახდეს.

IDFI მიიჩნევს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი ფორმალურ ხელმისაწვდომობას, არამედ უფლების დაცვის რეალური და ეფექტური გარანტიების არსებობას, რომლის უმთავრეს წინაპირობას კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და დამოუკიდებელი მოსამართლეებით სასამართლოს დაკომპლექტება წარმოადგენს.

---

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

<sup>40</sup> OSCE/ODIHR opinion on draft amendments relating to the appointment of Supreme Court judges of Georgia, 17.04.2019, § 61.

<sup>41</sup> ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დეტალურად არის განხილული სახალხო დამცველის კონსტიტუციურ სარჩელში. IDFI სრულად იზიარებს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ სარჩელში მოცემულ მსჯელობას.



## IV.თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სასურველია ერთვოდეს მოსაზრებას (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

- |  |                                     |
|--|-------------------------------------|
| 1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი.                       | <input checked="" type="checkbox"/> |
| 2. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ელექტრონული ვერსია. | <input checked="" type="checkbox"/> |

ბ. სხვა დოკუმენტები:

- 1.
- 2.

მოსაზრების ავტორის ხელმოწერა:

თარიღი:17.02.2020